დანართი N1

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში 2013 წლიდან ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი (სამმართველო), რომელიც ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ახორციელებს ფსიქოკორექციულ და ფსიქოსაგანმანათლებლო სამუშაოს: მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მანდატურებთან, სკოლის პედაგოგებთან. ცენტრის მიერ მუშავდება და ხორიცელდება ტრენინგ-კურსები ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით, მათ შორის:

ა) ტრენინგი „ბავშვთა მიმართ ძალადობა, გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭროების შემთვევებში“. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მანდატურები მთელი საქართველოს მასშტაბით და ისეთ სკოლებში, სადაც არ ჰყავთ მანდატურები, სკოლიდან წარმომადგენელი (დირექტორის მოადგილე/დირექტორი). სატრენინგო კურსი მოიცავდა თეორიულ მასალას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ჯგუფთან მუშაობის პრინციპებს, თემატურად დაკავშირებულ ღონისძიებებს და აქტივიზატორებს. ტრენინგის ძირითადი თემები იყო: „ბავშვზე ძალადობის განმარტება და ფორმები“; „ძალადობა და კონფლიქტი“; ძალადობის გავრცელების ხელშემწყობი და დამცავი ფაქტორები“; „ძალადობის შედეგები“; ძალადობაგანცდილი ან ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის ფიზიკური, ქცევითი და ემოციური ნიშნების ამოცნობა“; „ძალადობა სკოლაში“; “ბულინგი, მისი პრევენცია და მართვის ძირითადი პრინციპები“; „სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი“; „ძალადობაგანცდილ ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი საკითხები“; „მულტიდისციპლინარული და მულტისექტორული თანამშრომლობა“; „ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები საქართველოში“.

ბ) ტრენინგი „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“. ტრენინგის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სკოლის პედაგოგები და ფსიქოლოგები (როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლებიდან). ტრენინგი მოიცავს შემდეგ თემებს: კომუნიკაციის ფსიქოლოგია; ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები;

ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების საბაზისო ნიშნები; სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი ქცევითი და ემოციური პრობლემები და შესაბამის პრობლემებზე რეაგირების ეფექტური სტრატეგიები; დევიაციური და დესტრუქციული ქცევის ჩამოყალიბების საფრთხე და პრევენცია; თვითდესტრუქციული ქცევის ამოცნობა და რეაგირება; სუიციდი; სუიციდური ქცევის ნიშნები, მათი ამოცნობა და რეაგირების გზები; დამოკიდებულების პრობლემა (ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება, კიბერ-დამოკიდებულება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ალკოჰოლი, თამბაქო); ძალადობრივი ქცევის ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია;

გ) შეიქმნა კრიზისული ინტერვენციის ჯგუფები. კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი ქმნის, კრიზისული სიტუაციისას, გადაუდებელი დახმარების სერვისს საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, უმკლავდება ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემას, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს უცაბედად ან დროთა განმავლობაში, სხვადასხვა კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე. ეს არის დაუყოვნებელი და მოკლევადიანი ფსიქო-სოციალური დახმარება, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში მყოფ პირს/პირებს ეხმარება ბიოფსიოქოსოციალური ფუნქციონირების, წონასწორობის აღდგენაში და ამცირებს გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ტრავმის პოტენციალს. კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი შედგება მულტიდისციპლინარული გუნდისაგან: ფსიქოლოგი; სოციალური მუშაკი; კონფლიქტოლოგი/მედიატორი;

დ) იმ საჯარო სკოლებისათვის, სადაც არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, ხორციელდება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესაბამისი ტრენინგმოდულით გადამზადება. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის (უპპ) ძირითადი ამოცანა და მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა; სხვადასხვა კრიზისულ თუ გადაუდებელ შემთხვევებში დროული და ეფექტური მოქმედება. ძალადობის პირველადი იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება; დაპირისპირებულ მოსწავლეთა შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტების მართვა.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, ტრენინგ მოდულის ფარგლებში, ისწავლიან თავიანთ უფლება-მოვალეობებს; შეძლებენ სკოლაში მომხდარი დარღვევების

იდენტიფიცრებასა და სხვადასხვა გადაუდებელ, კრიზისულ სიტუაციებში დროულ, ეფექტურ რეაგირებას; ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფიზიკური, ქცევითი და ემოციური ნიშნების ამოცნობას, ძალადობაზე სწრაფ და დროულ რეაგირებას, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გადამისამართებას შესაბამის, უფლებამოსილ სტრუქტრებში. შეიძენენ საგანმანათლებლო დაწესებულების ერთიან ეროვნულ საინფორმაციო ბაზაში მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ე) ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცხელი ხაზი 08 00 00 00 88, ზარი ნებისმიერი ოპერატორიდან უფასოა.

ვ) შეიქმნა ინტერნეტ პორტალი www.befriend.mes.gov.ge. პორტალი მუშაობს სატესტო რეჟიმში. ვებ გვერდზე განთავსებულია ისეთი ინფორმაციები როგორიცაა: რა არის ძალადობა; ძალადობის ფორმები; საინფორმაციო სტატიები სხვადასხვა რელევანტურ საკითხებზე; ინფორმაცია ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის შესახებ; სამართლებრივი დოკუმენტები; ბანერები, პოსტერები; ძალადობის წინააღმდეგ ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთა ნაშრომები; საიტზე შესაძლებელია ონალინ კონსულტაცია ნებისმიერი მსურველისათვის.